

## პროფორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა

პროფესიული ორიენტაცია (პროფორიენტაცია) პიროვნების მიერ პროფესიის სწორედ არჩევაში დახმარებას გულისმობს. პროფესიული ორიენტაცია საკუთარი თავის, შრომითი ბაზრისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ორგანიზება და სისტემაში მოყვანაა.

პროფორიენტაციის ამოცანებია:

- ✓ დაეხმაროს ადამიანს საკუთარი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების გამოვლენაში;
- ✓ გააცნოს პიროვნებას პროფესიათა სამყარო, ცალკეული პროფესიის თავისებურებანი და ის მოთხოვნები. რომელსაც იგი უყენებს მომუშავეს, აგრეთვე ამ პროფესიით დასაქმების შესაძლებლობანი;
- ✓ დაეხმაროს პიროვნებას კონკრეტული პროფესიის სწორედ არჩევაში.

## კარიერის დაგეგმვა

კარიერის დაგეგმვა არის მომსახურება, რომელიც გამიზნულია ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე ყველა ასაკის ადამიანის დასახმარებლად, რათა მათ მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარი კარიერის სამართავად საგანმანათლებლო და სამსახურეობრივ საკითხებთან დაკავშირებით. კარიერის დაგეგმვა ეხმარება ადამიანებს დაფიქრდნენ საკუთარ ამბიციებზე, ინტერესებზე, კვალიფიკაციაზე და უნარებზე, ისწავლონ სამუშაოს და სწავლის პროცესის დაგეგმარება და მის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

პროფორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა ურთიერთდაკავშირებული პროცესებია. ისინი ერთმანეთს ავსებენ და აძლიერებენ. პროფორიენტაცია ეხმარება ახალგაზრდებს განავითარონ ცოდნა და უნარები, რომელიც სჭირდება წარმატებული არჩევანის გასაკეთებლად, სასწავლო პროცესში ცვლილებების სამართავად და სწავლიდან მუშაობაში გადასასვლელად. კარიერის დაგეგმვა კი საშუალებას ძლევს მომხმარებლებს გამოიყენონ მიღებული ცოდნა და უნარები განათლების თუ სამუშაოს არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

**სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“ პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით ახორციელებს შემდეგ სერვისებს:**

- ✓ პროფესიული კონსულტაცია დაინტერესებულ პირთათვის პროფესიის არჩევის საკითხებზე;
- ✓ კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის/ კურსდამთავრებულებისთვის კონსულტაციების გაწევა კარიერული დაგეგმარების შესახებ;
- ✓ სამუშაოს მოძიებისა და დასაქმების საკითხებში დახმარების გაწევა: cv, სამოტივაციო წერილის შედგენა, სხვადასხვა საიტების მეშვეობით მოძიებული ვაკანსიების გაცნობა (jobs.ge, hr.ge, hr.cov.ge, cv.ge, hrajara.ge;)
- ✓ პოტენციური დამსაქმებლების მოძიება სამუშაო ბაზარზე, მათთან მოლაპარაკებების გამართვა სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით;
- ✓ სამუშაოს მაძიებელი სტუდენტებისთვის/ კურსდამთავრებულებისთვის ინფორმაციის მიწოდება მათი დასაქმების შესაძლებლობების შესახებ;
- ✓ სამუშაოს მაძიებელი სტუდენტის/კურსდამთავრებულის და პოტენციური დამსაქმებლების შეხვედრის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა;
- ✓ დასაქმების ფორუმების ორგანიზება/მონაწილეობა;
- ✓ დამსაქმებლისთვის ინფორმაციის მიწოდება კოლეჯში არსებული პროგრამებისა და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შესახებ.